დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს,
ბატონ პაატა ყულიაშვილს

დმანისის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის (ამომრჩეველთა)

# პეტიცია

## (დმანისის მუნიციპალიტეტის ამამლოს თემში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შექმნისა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესახებ)


პეტიციის წარმდგენი (მომხსენებელი):

*ლაშა ჩხვიმიანი*
მცხოვრები: დმანისი, 9 აპრილის ქ. N 11

საკონტ-[illegible]
ელ.ფოსტა: chkhvimiani94@gmail.com


საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს განათლების მიღების უფლება. სკოლამდელი აღზრდა და განათლება უზრუნველყოფილია კანონით. „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მიხედვით, სკოლამდელი აღზრდა და განათლება არის ნებაყოფლობითი, საყოველთაო და ხელმისაწვდომი შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის. მუნიციპალიტეტი ვალდებულია დანერგოს და უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ბავშვებისთვის მიწოდება. საქართველოში უზრუნველყოფილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებაში ბავშვთა უფასო აღზრდა და განათლება, აგრეთვე მათი კვება.

ოფიციალური მონაცემებით, დმანისის მუნიციპალიტეტის 57 სოფლიდან საბავშვო ბაღი მხოლოდ შვიდშია. რაიონში მოსახლეობის 65% ეთნიკური აზერბაიჯანელია. საბავშვო ბაღი უმცირესობით დასახლებულ არცერთ სოფელში არ არის.

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო (ბოლო) აღწერის მონაცემებით, დმანისის მუნიციპალიტეტის ამამლოს თემში 2300-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. თემში შემავალ არცერთ სოფელში (ამამლო, ანგრევანი, ბაზაქლო, მამიშლო, საფარლო, ტყისპირი) საბავშვო ბაღი არ ფუნქციონირებს. ამ სოფლებში მცხოვრებ 6 წლამდე ასაკის 100-ზე მეტ ბავშვს სკოლამდელ განათლებაზე ხელი არ მიუწვდება.

არსებული უთანასწორო და კრიტიკულად მძიმე მდგომარეობა მიუთითებს დმანისის მუნიციპალიტეტში ეთნიკური ნიშნით, ასევე, საცხოვრებელი ადგილისა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის მიხედვით, ამამლოს თემში და უმცირესობებით დასახლებულ სხვა სოფლებში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვების შესაძლო დისკრიმინაციაზე.

სკოლამდელი განათლება ხელს უწყობს მოზარდების კოგნიტური, სოციალური, ლინგვისტური უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას. საბავშვო ბაღი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვებში სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულებისა და პიროვნული მახასიათებლების ჩამოყალიბებაში, ქცევითი პრობლემების რისკს ამცირებს, მშობელთა დასაქმებას უწყობს ხელს.

სკოლამდელი განათლება მნიშვნელოვანია საზოგადოების მდგრადი განვითარებისთვის და ყველა ბავშვისთვის, როგორც მოქალაქეებისთვის, თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ქვემო ქართლის რეგიონში 176 417 ეთნიკურად აზერბაიჯანელი ცხოვრობს, საიდანაც 82,9 %, 146 276 ადამიანი თავისუფლად არ ფლობს ქართულ ენას.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 - 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფო ენის შესწავლის ყველაზე ეფექტური გზა მისი სკოლამდელი განათლების საფეხურიდან დაწყებაა.

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ, 2022 წლის აგვისტოში საქართველოში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში ყველაზე მნიშვნელოვან ადგილობრივ საკითხად სასმელი წყლით მომარაგებასთან და გზების რეაბილიტაციასთან ერთად, საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობაა დასახელებული.

საქართველოში ადრეული ასაკის ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში ჩართულობის მაჩვენებელი 69,5 %-ია, ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში - 25,5% (საშუალოდ), რაც ევროპულ სამიზნე ნიშნულზე, 95 %-ზე ოთხჯერ ნაკლებია.

ჩვენ, **წინამდებარე პეტიციაზე ხელმომწერ პირებს მიგვაჩნია, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის ამამლოს თემში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შექმნით, მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფით, ამამლოს თემის სოფლებში მცხოვრები ბავშვები შეძლებენ საყოველთაო, უფასო და სრულფასოვანი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიღების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლების რეალიზებას.**

მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიური უფლებამოსილება და მისი ერთ-ერთი ფუნქციაა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გთხოვთ:

**დაარეგისტრიროთ წინამდებარე პეტიცია და კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოთ მასში დაყენებული საკითხის (დმანისის მუნიციპალიტეტის ამამლოს თემში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შექმნისა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესახებ) განხილვა-გადაწყვეტა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 86-ე მუხლის შესაბამისად.**

*დანართი:*

1. პეტიციის წარმდგენი პირის - ლაშა ჩხვიმიანის საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ქსეროასლი);
2. პეტიციის წარმდგენი ამომრჩევლების (სულ 260 პირის) სია;

**ლაშა ჩხვიმიანი** _____

24.11.2022